ბიოენერგეტიკული პროცესების რეგულაციის შესწავლა

ნინო თურქაძე

არჩილ ჭოლოშვილი, რამაზ გახოკიძე

nino.turkadze027@ens.tsu.edu.ge

[a]ბიოორგანული ქიმიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 3

ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენს მცენარეულ ობიექტებზე ქიმიური აგენტებით ზემოქმედების შედეგად ბიოენერგეტიკული პროცესების მართვის საშუალებათა შესწავლა. რასაც თეორიულ ინტერესებთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია მცენარეთა პოტენციურ შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით, რაც საბოლოო ჯა მში აისახება მათ პროდუქტიულობაზე და ადაპტაციაზე გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ.

თანამედროვე აგროქიმიაში დიდი მნიშვნელოობა ენიჭება სწორი თანაფარდობის დადგენას იმ კომპონენტებს შორის, რომლებიც განაპირობებენ მცენარეულ უჯრედებში საკმარისი რაოდენობის პირველადი ფოტო ასიმილატების დაგროვებას. მცენარის უჯრედების ფუნქციონირებაზე ადაპტაციის პეროიოდში.

მნიშვნელოვანია რეცეფციის მექანიზმების განხილვა რადგან ჩვენს მიერ გამოყენებული ქიმიური ნაერთები რეგულატორულ უნარს ამჟღავნებენ მცენარეთა რეცეფციის პროცესებში ჩართვით. ჩვენს მიზანს წარმოადგენს ასეთი რეგულირების შედეგად მიღებული მახასიათებლების რეგისტრაცია და შეძლებისდაგვარად მათი მოქმედების ქიმიური მექანიზმის დადგენა.